საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

სახელმწიფო პენსიის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები

თ ბ ი ლ ი ს ი 2020

ბროშურა მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

ავტორი: ლიკა ტანიაშვილი

რა არის სახელმწიფო პენსია?

სახელმწიფო პენსია არის სახელმწიფოს მიერ ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიზნით დანიშ-ნული ყოველთვიური ფულადი სარგებელი.

რამდენია სახელმწიფო პენსიის ოდენობა?

პენსიის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი წლის ბოლოს დგინდება მომდევნო წლის პენსიის ოდენობა.

რა არის პენსიის დანიშვნის საფუძველი?

პენსიის დანიშვნის საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. საპენსიო ასაკი განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში:

- პენსია მამაკაცებს ენიშნებათ 65 წლის ასაკიდან;
- პენსია ქალებს ენიშნებათ 60 წლის ასაკიდან.

ვინ არის პენსიონერი?

პენსიონერი არის პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად დანიშ-ნული აქვს სახელმწიფო პენსია.

ვის ენიშნება პენსია?

პენსია შეიძლება დაენიშნოს შემდეგ პირებს:

- საქართველოს მოქალაქეებს;

- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისთვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლით მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები).

როგორ ხდება პენსიის დანიშვნა?

პენსიის დანიშვნის თაობაზე პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში – „სააგენტო“).

სააგენტო განცხადებას განიხილავს ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო აკმაყოფილებს განცხადებას პენსიის დანიშვნის თაობაზე, პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მაგალითად, თუ პირმა მიმართა სააგენტოს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით 2019 წლის 10 მარტს, აღნიშნულ განცხადებაზე გადაწყვეტილება სააგენტომ უნდა მიიღოს 10 დღის ვადაში, ანუ 2019 წლის 20 მარტის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს პენსია ეკუთვნის, პირს აღნიშნული პენსია დაენიშნება 2019 წლის 1-ლი აპრილიდან.

პირს სააგენტოსთვის განცხადების წარდგენის უფლება წარმოეშობა მას შემდგომ, რაც იგი მიაღწევს საპენსიო ასაკს.

მაგალითად, თუ პირს საპენსიო ასაკი უსრულდება 10 მარტს, მან ამის შემდგომ უნდა მიმართოს სააგენტოს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით და, შესაბამისად, 1-ლი აპრილიდან დაენიშნება პენსია.

რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს პირმა პენსიის დასანიშნად?

პენსიის დანიშვნის თაობაზე პირის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ქვეყნის მოქალაქემ სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება, ასევე, საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე მისი კანონიერად ცხოვრების ფაქტი;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ;
- უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

შეგვიძლია თუ არა პენსიის მიღება საჯარო სამსახურში მუშაობისას?

სახელმწიფო პენსიის მიღება შეუთავსებელია საჯარო საქმიანობასთან. იმ შემთხვევაში, თუ პირი მუშაობს საჯარო სამსახურში და მიაღწია საპენსიო ასაკს, მას პენსია არ ენიშნება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო საქმიანობად მიიჩნევა მუშაობა სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა.

შენიშვნა: გამონაკლისია პოლიტიკურ და რელიგიურ ორგანიზაციებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სკოლა-პანსიონებში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში მუშაობა. ჩამოთვლილ დაწესებულებებში მუშაობისას საპენსიო ასაკის თანამშრომელი ერთდროულად მიიღებს პენსიას და ხელფასს.

საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში, ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. იმ შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, სააგენტოს, შეთანხმებული ფორმატით, აწოდებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

რა წესით გაიცემა პენსია?

- პენსია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე.
- პენსიონერს უფლება აქვს, მოითხოვოს პენსიის მიღება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. მიმდინარე თვის პენსიის გაცემა წარმოებს იმავე თვეში, ხოლო ადგილზე მიტანა მომდევნო თვის ბოლომდე.

- პენსიონერისათვის პენსიის მიტანა ბინაზე ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენსიის გამცემ საბანკო დაწესებულებაში პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

შეიძლება თუ არა პენსიის დაკავება?

პენსიიდან თანხის დაკავება შეიძლება შესაბამისი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დანიშნული პენსიის არაუმეტეს 50%-ის დაკავება.

სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძვლები

პენსია ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ:

- პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მიიღებს სახელმწიფო პენსიას, ანუ, როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში;
- საპენსიო ანგარიშებიდან თანხა გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ მინდობილობა არ განახლებულა;
- პირი ახორციელებს პენსიის გადატანას დეპოზიტზე და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად არ მიუმართავს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულებისთვის შესაბამისი განცხადებით;
- პირი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში პენსია შეჩერებულია;
- კანონმდებლობით პირდაპირ არის გათვალისწინებული პენსიის შეჩერების შესაძლებლობის თაობაზე.

არის თუ არა შესაძლებელი პენსიის აღდგენა?

შეჩერების მიუხედავად პენსია შეიძლება აღდგეს იმ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრება ის საფუძველი, რის გამოც პირს პენსია შეუჩერდა.

მაგალითად, თუ პირს პენსია შეუჩერდა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამო, ასეთ შემთხვევაში პენსია განახლდება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდგომ.

პენსია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება წარსულში მიუღებელი თანხა, მაგრამ არაუმეტეს პენსიის შეჩერების დღიდან 1 წლისა.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლები

პენსია წყდება:

- პირადი განცხადებით;
- საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში;
- სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
- პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დატოვების ან დაკარგვისას;
- პენსიონერის გარდაცვალებისას;
- პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ;
- სხვა საფუძვლით, რომელიც „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარეობს.

პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია პენსიის ხელახლა დანიშვნა, ზოგადი წესების შესაბამისად.

პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურება პირის გარდაცვალების შემთხვევაში

პირის გარდაცვალებისას პენსია, რომელიც მას ეკუთვნოდა და გარდაცვალების დროისთვის არ ჰქონდა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს. პენსიის მისაღებად მემკვიდრეებმა უნდა მიმართონ სააგენტოს პენსიონერის (მამკვიდრებლის) გარდაცვალებიდან 1 წლის ვადაში.

პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხა პირველი რიგის მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

- პენსიონერის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი საპენსიო თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე ან, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, საპენსიო თანხა არ არის ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე;
- მოთხოვნა შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ პენსიონერის ან მისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში.